



რედაქცია ქართული ნიჟაროლოგის მუშაობისათვის ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბუღად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვა გამავრც. საზოგადოების კანცელირთა.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხედზე—8 კაპ.

გაზეთის ღირსე:

Table with 4 columns: Issue No., Price, etc. Rows 7-12.

„ნიჟარის“ ტელეფონი 227

„ნიჟარის“ ტელეფონი № 227

ნიჟარი

ქართული თეატრი

კვირას, 7 ოქტომბერს 1901 წ.

ქართულის დრამატული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა

I

გაცრუებული იმედები

კომ. 2 მოქმედებად თხზ. ნ. აზიანისა.

II

ფიქციური ელენა გაქცეული

ჭარსი 2 მოქმედებად გად. ა. ცაგარლის მიერ.

მონ. წილები იღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, გივიშვილისა და სხვ. ბ-ნი: აბაშიძე, გვიმონიძე, გედევანიძე, შათირიშვილი, ურუშაძე, იმედაშვილი და სხვ. დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

შემდეგი წარმოდგენა 11 ოქტომბერს: მზადდება „ცხოვრება“ დრ. 2 მოქ., „ჯადო სიყვარულისა“ დრ. 4 მოქ.

(3-5-3)

პირველი კერძო სამკურნალო

მკურნალობის საზოგადოებისა

კვირაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ევათყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11-12 ს. აღოსტაქრო, ვენერიული (სიფილი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ბ. ბ. ჩიქოვანი. 9-10 საათ. სნეულბანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ბ. ი. ბაბანასიანი. დილის 11-12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ბ. ი. გიგინიანი. 12-1 საათ. კურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ბ. ბაბანასიანი. 1-1 1/2 ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამობით:

ბ. ბ. როსტომოვი. 5-6 ს. საქირურგო და კანისა.

ბ. ბ. შაპოვსკი. 6-7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ბ. ბ. თარხანოვი. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა, 7-7 1/2 ს.

ბ. ბ. არვანთაი. 11-1 ს. ბავშვებს სახლში მსურველთ „მას-საგს“, აუტორის ყვავილს და გამარ-თავს საექიმო გემნასტიკის ექიმის დანიშნებით.

ბ. ბ. ნავასარდიანი. 7 1/2-8 ს. სნეულბანისა და რევმატიზმის დაწე-რის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფა-ლად, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციები-ათვის—მორიგებით.

ბ. ბ. პირველი სამკურნალო დოქტო-რ მედიცინისა ნავასარდიანი. Первая частная лечебница—А-ра Навасардиана, Тифлиси, противъ память. Воронцову.

მკურნალო მიხაილ გელვანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12-1, საღამოთი 6-7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. ტელეფ. 791. (6.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხაილ გელვანიშვილისა.

კვირა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ააგიაშვილისა, № 21 (ვორონცო-ვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ბ. ი. შინაგანი—ტფილის სნეულბანი, 8-10 საათ.

მიხაილ გელვანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9-10 საათ.

ბ. ბ. ფადოროვი. შინაგანი და ბავშვებისა. 9-10 ს.

ბ. ბ. მაღალაშვილი.—შინაგანი; სამშობლოთი და ხუთშობათობით, 10-11 საათ.

ბ. ბ. გულიანი—ყურისა, ყელი-სა და ცხვირისა—10-11 საათ.

ბ. ბ. ახალაშვილი—ტფილის სნეულბანი. 10-12 საათ.

ბ. ბ. შატილოვი—თვალის, 10-11 საათ.

მიხაილ-ქალი ბ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11-12 ს.

ბ. ბ. გელვანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12-1 საათ.

ბ. ბ. ბარსუკოვი—დღეათა სნეულბანი, ორშაბათობით, ოთხ-შაბათობით და პარასკეობით 12-1 საათ.

ბ. ბ. მარკვიჯი.—საქირურ-

კო, 12 1/2-1 1/2 საათ. სამშობლოთი. 3-4.

ბ. ბ. გელვანიშვილი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1 1/2-2 ს.

სალამობით: ბ. ბ. თუშანიშვილი—დღეათა სნეულბანი. 5-6 საათ.

კვირაობით: ბ. ბ. მაღალაშვილი—10-12 ს. შინაგანი ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, რომ კავკასიის შთავარ-მართებლის განკარგულებით მომავალი არჩევნები ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა მოხდება სამ საარჩევნო კრებაზედ. ერთ კრებაში შევსდენ 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილების ამომრჩევლები, მეორეში—6 და 7 ნაწილების ამომრჩევლები და მესამეში—8, 9 და 10 ნაწილების ამომრჩევლები. ქალაქის გამგეობა, შეუდგა რა ამომრჩევლთა სიების შედგენას, იწვევს ბ-ნთ უძრავ ქონებათა პატრონთ განათავისუფლონ თავიანთი ქონებანი დაფასების გარდა-დასახადის იმ დარჩენილ ფულისა-გან, რომელიც 1901 წლის 1 ივლისამდე ითვლებოდა, ამასთან იმათ, ვისაც უძრავი ქონებანი და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი ქალაქის რამდენსამე ნაწილში აქვთ, უნდა წინდაწინვე გამოაცხადონ გამგეობას, ხმოსანთა არჩევნების დროს რომელ საარჩევნო კრებაში მსურთ მონაწილეობის მიღება.

(3-5-1)

სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზი

კვირას, 7 ოქტომბერს, დილის 10 საათზედ, „ცისკრის“ რედაქტორის, განსვენებულის ივანე კერესელიძის საფლავზედ ძეგლის დადგმის შესახებ მოსალაპარაკებლად კრებაა დანიშნული. კრებაზედ დასწრება ყველას რეუ-ძლიან.

(2-უ-1)

ახალი ამბავი

* ტფილისის სათავად-აზნაურო თეატრში დღეს, 7 ოქტომბერს, ქართული დრამატული არტისტები ქ-ნის ნ. აზიანის ახალს 2 მოქმედ. კომედიას „გაცრუებულს იმედებსა“ და ა. ცაგარლის მიერ გადმოკეთე-

ბულს 2 მოქმედ. ფარსს „მშვენიერის ელენეს მაძიებელთ“ წარმოდგენენ.

* როგორც შევიტყუეთ, ბერლინის უნივერსიტეტს განზრახვა თურმე აქვს ქართულის ენის კათედრა დააარსოს. უნივერსიტეტს ამ საგნისათვის საჭირო ფული უკვე გადაუდგია და მზადებასაც შესდგომია, რომ ლექციების მკითხველად შესაფერისი ენის მკოდნე მოიპოვოს.

* სამეურნეო საზოგადოებაში 5 ოქტომბრის სხდომაზედ ბ-ნ ავეტ. ქალანთარისაგან გამოწვეული ნიმუში თეთრის ქრცხილისა ჩვენებურს შეუდარეს და გარეგნობით სრულიად არაფართარი განსხვავება არ აღმოჩნდა დანიისა და ჩვენებურს ქრცხილის შორის.

როგორც შევიტყუეთ, გორის მ-ზრიდგანა და ყარსის ოლქიდგან ბევრს მემამულეს კიდევაც განუზრახავს ნიმუშები გაუზზავნონ.

* ორშაბათს, 8 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის საბჭოს განსახილველად დანიშნული აქვს შემდეგ საქმეები: მოხსენებანი ქალაქის გამგეობისა ცეცხლის მქრობელ რაზმისათვის საკუთარ სახლის აშენების შესახებ, ქალაქის მოურავის მოადგილისა საიუბილიო დღესასწაულების შესახებ, წინადადება ტფილისის გუბერნატორისა ქალაქის მოურავის მოადგილის დანიშვნის შესახებ, წინადადება მისივე ქალაქის ახალ ხმოსანთა არჩევნების შესახებ, მოხსენება გამგეობის მეოთხე წევრის არჩევნის შესახებ, ქალაქის მოურავის მოადგილისა—ქალაქის კასის გაქურდვის შესახება და სხვა. საბჭოს სულ განსახილველად დანიშნული აქვს 10 ძველი და 18 ახალი საქმე.

* როგორც მიწათ მოქმედების სამინისტრო აუწყებს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, უმაღლესად ნება დართულია თურმე დროებით 1903 წ. 18 დეკემბრამდე საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილს სხვა-და-სხვა მანქანებს, რომლებიც მოსავლის მავნებელ მწერთა წინააღმდეგ იხმარებიან, ბაჟი არ გარდაჰდეს.

* საბოლოო საზოგადო კრება კავკასიელ მკურნალთა მეორე კრებისა ორშაბათს, 8 ოქტომბერს, არის დანიშნული ქალაქის საბჭოში.

* დღეს, 7 ოქტომბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, დილის 10 საათზედ, კრებაა დანიშნული, რომელზედაც განსვენებულის ი. კერესელიძის საფლავზედ ძეგლის დადგმის შესახებ უნდა მოილაპარაკონ. კრებაზედ, სხვათა შორის, ამორჩეული იქმნება რამდენიმე კაცი, რომელთაც ამ საქმის განხორციელება მიენდობა.

* რუსეთის ზოგიერთა ადგილებიდგან, განსაკუთრებით ციმბირიდგან, დიდძალი კარაქი და სხვა-და-სხვა რძის ნაწარმოებნი გააქვთ ევროპაში. მარტოდ ციმბირიდგან 20 მილ., სანეთის კარაქი გააქვთ ინგლისში. კარაქს თურმე განსაკუთრებულად თეთრის ქრცხილისგან (Бѣлый сыр) გაკეთებულს პატარა-პატარა კასრებში ასხამენ, რომელიც კარაქს მშვენიერად ინახავს.

რადგანაც რუსეთში აღნიშნული ხე თითქმის არსადა ხარობს, ამისათვის დიდ-ძალს იხარებენ თურმე დანიიდგანა და მისკოვში განსაკუთრებული ქარხანაც კი დაუარსებიათ ამ ხისაგან კასრების საკეთებლად. ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული ხე თითქმის ყველგანა ხარობს და დიდ-ძალი ადგილები უჭირავს ქრცხილის ტყებს. ურიგო არ იქმნებოდა ამისათვის ჩვენი მემამულეები ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდნენ, დაახერხებდნენ ფიქრებათ და სანიმუშოდ მოსკოვში ან მიწათ-მოქმედების დეპარტემენტს გაუზზავნიდნენ, რომ ბუნებრივს სიმდიდრეს, რომელსაც დღეს-დღეობით ვერ იყენებენ როგორც რიგია, ბაზარი მოუპოვონ.

* როგორც ფინანსთა სამინისტრო განმარტავს, ქალაქის გამგეობაში წარსადგენს შენობების გეგმასა და თხოვნას საგერბო გარდასახადი მხოლოდ იმ შემთხვევაში იტურმე უნდა გარდაჰდეს, რაცა გეგმა და თხოვნა გამგეობიდგან შემდეგ რომელსამე სახელმწიფო დაწესებულებას უნდა გადაეცეს. ამ შემთხვევაში თხოვნასა და გეგმას მხოლოდ 60 კაპ. გერბის მარკა დასჭირდება თვითიულს თაბახზეო.

* უწმ. სინოდის განმარტებით, სამ-კლასიან საეპარქიო სასწავლებელთა საღმრთო სჯულის მასწავლებლებსა და ინსპექტორებს უფლება თურმე ეძლევათ ჰენსია მიიღონ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შტატით დადგენილს საღმრთო სჯულის ყველა გაკვეთილებს ასწავლიან.

* გზათა მინისტრს ნება დაურთავს ყარსის რკინის გზის სადგური „ჯანდარი“ 1902 წ. 1 მაისიდგან „სანდარად“ იწოდებოდეს.

* რედაქციამ მიიღო მე-10 ნომერი ჟურნალის „Навк. Вѣстник“-ისა. ამ ნომერში მოთავსებულია, სხვათა შორის, აკაკის ისტორიული მოთხრობა „ბაში-აიული“, თარგმ. კ. ყიფიანის მიერ, „ცვლილებანი ქართველ ოჯახსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში 100 წლის განმავლობაში“, ა. ხახანაშვილისა, „სამისწავლო საქმის განვითარება კავკასიაში მე-XIX საუკუნეს“, გ. რომანოვსკისა და სხვანი.

* პარასკევს, 5 ოქტომბერს, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოე-

ბის სადგომში პირუტყვთ-მამუშენებელთა და მერძევეთა კრებაზედ განხილულ იქნა მოხსენება ქალაქის ბეთაღის ბნის კანცელმანებისა იმის შესახებ, თუ რა პირობებია საჭირო, რომ კავკასიაში კარგის საკლავ პირუტყვის ჯიში იქნეს გავრცელებული. სხვათა შორის, მოხსენებელმა ერთს უმთავრეს საშუალებად დასახელა მუდმივი ბაზარი და მისი მოთხოვნილებანი კარგს საქონელზედ. ჩვენში საკლავ საქონლის ჯიშის განკარგებას ხელს შეუწყობს ის გარემოება, თუ ქალაქში საკუთარი ხორციით სავაჭრო დუქნები გაიკეთაო. კრებაზედ ამის შესახებ რამდენიმე სხვა-და სხვა მოსაზრება იქნა მოყვანილი. ორის საათის კამათის შემდეგ კრებამ გამოსარკვევლად, თუ რა პირობებია საჭირო საკლავ საქონლის ჯიშის განსაკარგებლად. ამისათვის გარდასწყვიტეს გამოიწვიონ სხვა ქვეყნებიდან კარგი ჯიშის საქონელი და ჩვენებურის ჯიშისა შეურიონ და ჩვენში კარგის სამუშაო, საწველ და საკლავ საქონლის მოშენებას ასე შეუწყონ ხელი.

* * * ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთა მელიტონ გაბუნიასი და პალატონ ჩიქოვანისა, რომელთაც ქურდობის ჩადენა ჰბრალდებოდათ. დამნაშავედ იქნა იგინი და ოქტის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა, რომლითაც მათ ზოგიერთა უფლება-უმირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა აქვთ გარდაწყვიტული.

* * * პოლიციის მესამე ნაწილში, თეატრის ქუჩაზედ, ვიღაც ბორტ-განმზრახველს

ტფილისის მოქალაქის ფ. შვავალოვისათვის ორი ვერცხლის საათი მოუპარავს, 105 მან ღირებული.

* * * პოლიციის მე-9 ნაწილში, 5 ოქტომბერს, პოლიციის მოხელემ შეიპარო გლეხი პავლე ლონდორიძე, რომელსაც 2 ოქტომბერს მიხილ ივანეს ძე მანაბლის სადგურიდან მოპარული ნივთები აღმოაჩნდა ლონდორიძე პასუხის გებაში იქნა მიცემული.

* * * რაჭის მაზრის მცხოვრებმა დავით ლევანის ძე ნუფარიძემ განაცხადა პოლიციის მესამე განყოფილებაში, რომ 2 ოქტომბერს მისსავე სოფლის მცხოვრებს ლევან ლებანიძეს იმის შინ არ ყოფნის დროს დაკეტილი ყუთი გაუტეხნია, იქიდან 30 მან ფული და 60 მანეთად ღირებული ნივთები მოუპარავს და სადღაც გაქცეულა, დამნაშავე ლებანიძე უკვე შეიპარეს, რომელსაც მოპარული ნივთები უნახეს. ლებანიძე პასუხის გებაში იქნა მიცემული.

* * * სპარსეთის ქვეშევრდომის ვართან ეგიზაროვისათვის მისსავე მზარეულს ანგიონიანს 670 მან ღირებული ნივთები მოუპარავს 4 ოქტომბერს და სადღაც გაქცეულა. დამნაშავეს აღმოსაჩენად საშუალება იქნა მიღებული.

„ზვარის“ და „კოლხიდის“ დანიშნულება.
(პასუხად „ცნობის ფურცელს“)

„ცნობის ფურცლის“ პატივცემული რედაქცია მეტად გაუოკებია და აუშფოთებია ქუთაისის სამეურნეო ამხანაგობის დაიარსებას და № 1587-ში გამოსულაშქრია ამ ამხანაგობის და მის დამაარსებელთა წინააღმდეგ. როგორც ვატყობ, ეს საყვედური ეხება სამეურნეო ამხანაგობას, სახელად „ზვარის“, რომლის წესდება, დიდი ხანი არ არის, გაიგზავნა პეტერბურგს ნების დასართველად და რომელზედაც დაბეჭდილი იყო ცნობა ვაზ. „კავკას“-ში. ვინაიდან „ზვარის“ ამხანაგობის

დაარსების ინიციატივა ყუთუნის ამ სტრუქტურის დამწერს, ამიტომ მოვალედ ვრაც ჩემ თავს დავამზვიდო „ცნობის ფურცლის“ ამფოთებულ რედაქცია და მკითხველთ ვაუწყო ყოველივე სიმაბოლო.

— ვერ გავიგია, რათ დასჭირდა იქიურ, ე. ი. (ქუთათურ) მემამულეთ ახალის ამხანაგობის დაარსება, როდესაც მათ უკვე აქვთ მშენებრად დაწყებული ამგვარივე საქმე? რად დასჭირდათ ახალი ამხანაგობა, როდესაც ჯერ ძველიც არ გამოკრებულაო?... „ერთ და იმავე დროს, ერთ და იმავე ალაგას ორ ერთნაირის საზოგადოების დაარსება უაზრობაა“ და სხ.; აი ამნაირ ქუთათურებს გვიძღვის დარბაისელი რედაქცია ახალ ამხანაგობის დამაარსებელთ! როგორც სჩანს, რედაქციას აქვს სახეში 1899 წელს დაარსებული ქუთაისში სამეურნეო ამხანაგობა „კოლხიდა“, იცავს რიხით მისს ინტერესს და მოჰყავს მუხლებათ ამ ამხანაგობის მიზანი და დანიშნულება.

სამწუხაროდ, „ცნობის ფურცლის“ რედაქციას, როგორც ეტყობა, არ გაუშინჯავს არც კოლხიდის წესდება და არც, მეტადრე, ჩვენი ამხანაგობის „ზვარის“ წესდება, თვარა არც თითონ წაიხდენდა სისხლს უსაფუძვლო წყრომით და არც მკითხველს შეაძღვინდა.

„კოლხიდის“ წესდებიდან ცნობის ფურცლის“ მიერ მოყვანილი მუხლები თითქმის ვერც ერთი ვერ მოიპოვება ამ წესდებაში; სად მოძებნა რედაქციამ ის მუხლები, — მისი საიდუმლოება ხოლო „კოლხიდის“ მიზანი ეს არის (მოკლედ): 1. დაეხმაროს ადგილობრივს წვრილს მრეწველებს და მეურნეებსა სართავ ნივთეულთა შემუშავებაში და გასაღებაში, როგორც, მაგალითად, არის აბრეშუმი, ბამბა, მატყლი და სხ., 2. გაავრცელოს ადგილობრივთა შორის ყოველგვარ სართავ ნივთეულთა აზრიანი შემუშავება სხვა-და-სხვა მოხელეთა საშუალებით და სხ. ერთის სიტყვით, „კოლხიდის“ ამხანაგობის მიზანი განსაზღვრულია: იგი ეხება მხოლოდ მეურნეობის და წვრილ მრეწველობის ერთ დარგს, ე. ი. სართავ ნივთიერებათა და ცდილობს ამ მხრივ დაეხმაროს მცხოვრებნი. (იხ. Уставъ Кух. Сел. хоз. Тов. подъ фирмой „Колхидა.“)

ახლა განვიხილოთ „ზვარის“ ამხანაგობის მიზანი: 1. ამხანაგობამ უნდა დააარსოს ამერიკული ვაზის და ხეხილის საჩქოლეს-სანამყენებელი მიაწოდოს ხალხს, რაც შეიძლება იაფად, საუკეთესო ნამყენები და ამერიკული ვაზის ლერწები. 2. გამართოს რომელსავე სავენახე რაიონში ვენახი, სარდაფი, ბაღი და გაავრცელოს ხალხში მევენახეობის, მეღვინეობის, ამერიკული ვაზის კულტურისა და ბაღოს-ნობის საუკეთესო კულანა. ამისათვის ამხანაგობამ უნდა დააარსოს სამაგალითო ფერმა სამეურნეო სადგურთ, გამოსცეს სამეურნეო წიგნები და იქონიოს საკუთარი სამეურნეო გაზეთი. 3) გაუხსნას ბაზარი ხალხის სამეურნეო ნაწარმოებს და მოუპოვოს მათ სამეურნეო იარაღები და სხ. და 4) მოუპოვოს მეურნეთა იაფი სესხი და დაეხმაროს ყოველგვარ სამეურნეო საქმეებში.

ეს არის მოკლედ „ზვარის“ ამხანაგობის მიზანი. ესადა, ამ ამხანაგობის მიზანს არავითარი მსგავსება არა აქვს „კოლხიდის“ ამხანაგობის მიზანთან და არც მის მიზანთან, რომელიც აქვს „კოლხიდის“ მიზანთან. აქვს მის მიზანთან და არც მის მიზანთან, რომელიც აქვს „კოლხიდის“ მიზანთან.

ეს არის მოკლედ „ზვარის“ ამხანაგობის მიზანი. ესადა, ამ ამხანაგობის მიზანს არავითარი მსგავსება არა აქვს „კოლხიდის“ ამხანაგობის მიზანთან და არც მის მიზანთან, რომელიც აქვს „კოლხიდის“ მიზანთან.

გობის მიზანთან და არც მის მიზანთან, რომელიც აქვს „კოლხიდის“ მიზანთან. აქვს მის მიზანთან და არც მის მიზანთან, რომელიც აქვს „კოლხიდის“ მიზანთან.

ეს მწერი მოედვა საქართველოსაც, განსაკუთრებით იმერეთს. მის საწინააღმდეგოთ ღღეს ერთად ერთი ლონისძიება არის ცნობილი — ამერიკული ვაზი, ჩვენი ხალხი ძლიერ ეტანება ამ ვაზს, ე. ი. მასზედ ნამყენებს და აშენებს ვენახს; ხელის შემწყობი-კი და დახმარებ არავინა ჰყავს. საქარის სანერგვერ აქმაყოფილებს სოფლებების მოთხოვნილებას; კერძო საჩქოლეს-ბი ხალხს ღიდ ფასს ართმევენ და ხშირად ცუდს მასალას აძლევენ. თვით მევენახეობა, ეს უბირველესი დარგი ჩვენი მეურნეობისა, ფრიად ჩამორჩენილია ჩვენში თავის ტენიკით და საკულტურო წესებით; ხალხს ეჭირვება აგრეთვე იაფი სესხი და სხ. პატრონი-კი არავინა ჰყავს.

ამ გარემოებამ გვაფიქრებინა და გვეარსნა სამეურნეო ამხანაგობა, რომელსაც სახელად „ზვარი“ ვუწოდეთ; მის დაარსებაში დაგვეხმარნენ ვეროპის და რუსეთის ნაწილური სპეციალისტები — მეურნეები, და ამ წლის დასაწყისში ამხანაგობა, ფაქტიურად დაარსებული დროებით დამყარდა ქუთაისში, საქმეებში იშვიათად აღიმაღლებს თავს.

ფელეტონი

ქუთათური ფელეტონი

სალაპარაკო და სავაზეთო მასალა რად შევიპოვო. — ბედის მომღერალი რჩეული და სინანულში მყოფი ამრჩეველები. — რამ გადიყოლია ს. წერეთელი, ლ. ლოლუა და კ. ჩიკვაძე. — ჩვენებური მებრძოლნი უთუოდ ერთმანეთს უნდა შეაკედნენ. — რა მიზეზია, რამ დასკა სიმონ წერეთელი. — სამეგრელოს თავდაზნაურთა გარეგნის ინსტრუქცია, ყალბი საბუთების კამპანია და მუშტარი. — რამ უნდა გვიშველოს.

ქუთათური ფელეტონები დღეიდგან უნდა დავიწყოთ, მაგრამ აქამომდე აქაური ამბები იმდენად მრავალფეროვანი და გასაგონებლად მაინც საინტერესო იყო, რომ სახანდახანა ფელეტონები კი არა, ერთი გაზეთიც ვერ აუვიდოდა, ახლა კი ქუთაისში ისე შემცირდა სასაუბრო და საკამათო მასალა, რომ გაზეთის ფურცლების გასაყვები-კი არა, ბუღვარზე რომ ორი მეგობარი შეიყრება, არ იციან, რაღაზე ისაუბრონ და რით გაართონ ერთმანეთი. ქუთაისის ბუღვარზე მოსერიან იმერელს რომ სალაპარაკო გამოვლიოს და აქაური საქმენი და ამბები გაზეთებში ჩვეულებრივ არ გამოიხვედეს, სწორედ სასწაული, ან ღვთის რისხვა რამ უნდა მოვლინებულაყოს ჩვენს თავზე. სასწაულია, თუ რისხვა, ასე-კი მოხდა, რომ სალაპარაკო და სავა-

ზეთო მასალა გამოგველია: ის დაწყებულდებიან, რომელთა გულისათვის შინ და გარეთ ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში დაუცხრომელი ბრძოლა, მიტქმა-მოტქმა და დავი-დარაბა იყო ატეხილი; სხვა წესსა და რიგში აპირებენ ჩადგომას და ჯერ მათს ავკარგიანობაზე (ლაპარაკი არ გვეხებხება; და ვინც ამ დაწყებულებათ განაგებდეს) და ვისთვისაც დაუძინებელი ჩხუბი და ალიან-ჩალიანი გვექმნა, ძალია უნებურად ასპარეზს ჩამოეცალნენ: 10—12 წლის წინამძღოლობის შემდეგ, ამ ხნის შეუბღალავის სამსახურისათვის ოფიციალურად ნაკები და კამერპერობით დაჯილდოვებული, ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურთა წინამძღოლი, თ. ს. გ. წერეთელი, ქუთათურმა საქმეებმა, ზღვის მაგიერად, ფონის გასავალს, ცვარით დაახრო. ამავე დიქტატორად ბანკში მჯდომი და დიქტატორის უფლებით აღჭურვილი უძღვევლი გმირი, კალისტრატე ჩიკვაძე, ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე, გარემე ძალმა დაამხო. ქუთათური საქმეების წინამორბედი და ბატონი ქალაქის თავი, ლ. ტ. ლოლუა მისივე ძმებისა და მეზობლების დაგებულს მახეში სრულიად შემთხვევით და უცაბედათ გაება.

ამ სამის კაცისა და დაწყებულების გარშემო ტრიალებდა ქუთათური, იმერული ბრძოლა და ამ ბრძოლამ საზიზღარი კვალი დასტოვა ჩვენს მატანეში. ეგ სამი, საზოგადოების სხვა-და-სხვა ბანაკისაგან არჩეული კაცი, ერთი მეორეს გადაჰყავს, სამივე-კი ქუთათურმა საქმეებმა გადიყოლიეს და ერთმანეთს შეაკლეს. მე, ჩემდა თავად, დარწმუნებული ვარ, რომ სამნივე ხვედრს ემდურებიან, შეიძლება ბედის წერასაც იწყველიან, რომ ქუთათური საქმეების მეთაურობას ესწრაფოდენ, მაგრამ სიკვდილს უკან სინანული რაღა სასარგებელია? დიად, ისინი-კი ბედს ემდურებიან, მაგრამ ამომრჩეველებს მათის გული სათვის რომ ერთმანეთს თავბირს ამტრევენდენ, ესენი რაღას და ვილას ემადლიერებიან? მეგონია, რომ არავის და არაფერს. ეგების სინანულშიაც იყვნენ, რადგანაც ბრძოლის ველზე უმეტეს ნაწილად ნაოხარისა და თავდაფიანობის მეტი აღარა რჩება რა. არც ერთს ბანაკს არ შეუძლია საყივარს ბრტყე შესდგეს და თამამად გამარჯვების დროში ააფრათლოს. ვერც ერთის ნამდვილი ღონე ვერ დაინახა გარემე მაყურებელმა... პირ იქით, ზეფითაც ვამბობდი, ყველას პირში ენა გვაქვს ჩავარდნილი და სავანს სალაპარაკოდ ვერ მივდგომივართ. დასწყველოს ღმერთმა, — რაც მოხდა, ყველაფერი ისე მოხდა, თითქო შექსპირის ტრაგედიის გმირები ყოფილიყვნენ მებრძოლენიც და მათი მეთაურნიც. და ახლა ყველანი თავისი ნებისითის და უნებლიეთის ცოდვის სიმძიმის ქვეშ იქნ-

ჯნებიან და ოხრავენ, მხსნელის ხელი-კი არსაიდგან მოსალოდნელი არ არის. მხსნელი-კი არა, ვაი, თუ ჩვენი კეთილის მყოფელნი მეფის-ტოფელით ხარხარებენ კიდევ და ნიშს გვოგებენ...

თუ წერეთელი, ლოლუა და ჩიკვაძე ქუთათურმა საქმეებმა გადიყოლიეს, — საკითხავია: განა ქუთათური საქმეები ისეთი ხასიათისაა, რამ ვინც მათ მიეკარება, უთუოდ უნდა გაისვაროს და მთელის ზნობითა და ნივთიერად გათანსირებული სამოქმედო ასპარეზს ბედის წყველით უნდა განშორდეს ავიც და კარგიც?

აბა ეგ რა ქუთაში მოსასვლელია?!... საზოგადო საქმე ჩვენშიც ისეთია, როგორც სხვაგან, განსხვავება მხოლოდ ის არის, სხვაგან საზოგადო საქმე სხვა გარემოებაში და ხელში ტრიალებს. სხვაგან საქმის გაუმჯობესობისა და გაკეთების ტრიალით ყველანი ერთნაირად და თანხმობით მუშაობენ და, თუ ცოტადენი უთანხმოება ჩამოვარდნა მოვლავითა შორის, ისიც საქმის გაკეთებისათვის და არა პირადი ანგარიშით: ერთს ასეთი საშუალება მიანიძა საქმის წარსამატებლად, მეორეს — ისეთი, ორნივე კი საზოგადო საქმის გაკეთების სურვილით ხელმძღვანელობენ და ამ უმთავრესს სავანს ერთს წამსაც არ უღალატებენ. პირადობა, კერძო სისპატიო და ანტიპატიო საერო

და ოხრავენ, მხსნელის ხელი-კი არსაიდგან მოსალოდნელი არ არის. მხსნელი-კი არა, ვაი, თუ ჩვენი კეთილის მყოფელნი მეფის-ტოფელით ხარხარებენ კიდევ და ნიშს გვოგებენ...

თუ წერეთელი, ლოლუა და ჩიკვაძე ქუთათურმა საქმეებმა გადიყოლიეს, — საკითხავია: განა ქუთათური საქმეები ისეთი ხასიათისაა, რამ ვინც მათ მიეკარება, უთუოდ უნდა გაისვაროს და მთელის ზნობითა და ნივთიერად გათანსირებული სამოქმედო ასპარეზს ბედის წყველით უნდა განშორდეს ავიც და კარგიც?

აბა ეგ რა ქუთაში მოსასვლელია?!... საზოგადო საქმე ჩვენშიც ისეთია, როგორც სხვაგან, განსხვავება მხოლოდ ის არის, სხვაგან საზოგადო საქმე სხვა გარემოებაში და ხელში ტრიალებს. სხვაგან საქმის გაუმჯობესობისა და გაკეთების ტრიალით ყველანი ერთნაირად და თანხმობით მუშაობენ და, თუ ცოტადენი უთანხმოება ჩამოვარდნა მოვლავითა შორის, ისიც საქმის გაკეთებისათვის და არა პირადი ანგარიშით: ერთს ასეთი საშუალება მიანიძა საქმის წარსამატებლად, მეორეს — ისეთი, ორნივე კი საზოგადო საქმის გაკეთების სურვილით ხელმძღვანელობენ და ამ უმთავრესს სავანს ერთს წამსაც არ უღალატებენ. პირადობა, კერძო სისპატიო და ანტიპატიო საერო

საქმეებში იშვიათად აღიმაღლებს თავს. ქუთაისში-კი ეგ მოუხერხებელი რადგანაც აქ ყველა უფროსი ყველა ქვეანია, ყველა ერთი მეორეს სჯობია, ყველა ღიდი კრიტიკოსია და ერთს მეორისა არ მოსწონს, მოსაწონიც რომ იყოს. სხვაგან თავი-კაცობა იციან და ასეთ თავი-კაცი, სხვა რომ არა იყოს, რადისციპლინის დამცველი მაინც იქნება. აქ თავი-კაცობა ძნელი გაბედვია; აბა ისე თავს ვინ დაეცირებს, მეორესთან მივიდეს და ქუთა და აზრი ჰკითხოს. სხვაგან სხანაგობა და წრეები იციან რამ საქმის გასაკეთებლად, აქ-კი ერთგულს ამხანაგს რომ მესამე მატოს, ერთი კვირის განმავლობაში ორს პირველსაც სამუდამო გარიყავს.

სიმინ წერეთლის დაუმტკიცებლობა და ამით მისი ამომრჩეველების გაცრუება ხომ მეტად სამწურო და სამძიმო უნდა იყოს ჩვენთვის, იმიტომ, რომ ჩვენი ქმედების მყოფელნი არამც თუ ასეთის ცების და წოდების წაბორძიკისაგან სირცხვილად გვითვლიან არამედ უბრალო ჩვენებურის მხრის განზრახ ვაკოტრებასაც ჩვენს მომავლენებელ ცოდველზედ გვადებენ. სწორეთ ეს გამოება უნდა გვაიძულებდეს, ისეთს შემთხვევაში, როგორც თის და ორის ძალი-უნებური დომა თუ დაუდევრობა მთელს

დაც დროებითვე გაიჩინა საჩქოლე და დამყნა 35,000 ვაზი.

შენაშვებულნი წესდება, ხანგრძლივის ვიზიტების შემდეგ ადგილობრივს კანცელარიაში, ძლივს გაეჩვენა საპინისტროს დასამტკიცებლად. წესდებას ამხანაგობის დროებითი გამგეობა მოუთმენლად მოელოდა, რომ მოახდინოს ოფიციალური კრება, აირჩიეს ნამდვილი გამგეობა, მოიმართოს წევრები, დაიწყოს ენერგიული მოქმედება, შეიძინოს უკვე არჩეული ადგილი ერთს საუკეთესო რაიონში, გამართოს იქ საჩქოლეები, ვენახი და სამაგალითო ფერმა ხალხისათვის პრაქტიკულად მეურნეობის შესასწავლად.

ამხანაგობა დრომდის ხმაურობას ვერცხვდა (ან რა საჭიროა!); მიმამეთაურებმა სთხოვეს ყველას არაფერი ეწერათ ჯერ გახსენებში. და როდესაც დამტკიცებული წესდება მოგვივა, მაშინ უფრო დაწვრილებით გავაცნობთ მკითხველს ამ ამხანაგობის მიზანსა და მნიშვნელობას. ჩვენ გვეგონა, რომ პრესა და საზოგადოება თანაგრძობით მოგვეგებებოდა; „კნობის ფურცლის“ მეთაურმა წერილსა-კი მეტად გავგაოცა და შეგვწუხა. ახლად დაბადებული პაწია „ზვარი“ არ მოელოდა დარბაისელ რედაქციისაგან ასეთს ღიმილსა და ტკბილს აღერს...

სვიმონ ქვარიანი

დაბატ სოფელი

ჯავახეთი. აგერ შემოდგომაც განახევრდა; საქართველოს ყველა კუთხეში გათავდა კალოები, ჯავახეთში-კი ნახევარი გასალეწი აქვთ.

მძიმე ტვირთად ედება, ყველა ჩვენგანი, ვისაც-კი ჩვენი ქვეყნისათვის გული შესტკივა, და არა მარტო რჩეულნი, უნდა სცდილობდეს, რომ თავიდავმე მოვერიდოთ წინდაუჩედავს კენჭის დაძვრას. მოთავს გვერდში უნდა უდგეს ერთგული მოქალაქე და მასთან ერთად ეწეოდეს მძიმე უღელს საერო საქმისას. საქმის მოთავე კაცი განა ოთხობად ან ხუთობად მოქალაქისაგან შემდგარი ჯგუფის, ან ნაცნობის წარმომადგენელია, რომ სხვებს დარდი არ ჰქონდეს მისი, თუ რა დაემართება თვით მოთავეს, ან მისდამი რწმუნებულს საქმეს?

ახლა ვიკითხოთ, რამ გამოიწვია სიმონ წყრეთლის დაცემა? რამ და ერთის მხრით იმ კაცთა უსწინდისობამ და უსირცხვილობამ, რომელთაც მცნებთ აქვთ მიღებული, ყოველგვარი ჩვენი ცხოვრების მოვლინება, — ავია თუ კარგი, — პირადისა და ნივთიერის კეთილ-დღეობისათვის გამოიყენონ და მეორეს მხრით ასეთი მიდრეკილების ხელის შემწყობმა სამეგრელოს თავადაზნაურთა ღირსების გარჩევის ინსტრუქციის უვარგისობამ.

ინსტრუქცია ითხოვდა, რომ თავადაზნაურობის მემკვიდრეს უთუოდ წერილობითი საბუთი წარედგინა თვისის ღირსების დასამტკიცებლად, ასეთი საბუთი-კი თვით საუკეთესო თავადაზნაურობასაც არა ჰქონდა. აზნაურობის მოტრფიალე გლეხობა და უსაბუთო აზნაურობა ერთს ტყა-

პირველი ამისი მიზეზი გახლავთ უამინდობა: აგერ ენკენისთვის ისე გავიდა, ორი მზიანი დღე არ გვინახავს. დილით, ვნახოთ, კოტაოდენი ამუაშუქებდა მზე; გლეხიც, მოტყუებული, ჩაუშლიდა კალოს და დაუწყებდა ლეწვას, მაგრამ არ გავივლიდა 4—5 საათი და მოაბამდა შემოდგომის წვიმას, რომელიც ხშირად 5—6 დღეს აღარ იღებდა. ამ ხნის განმავლობაში-კი გაღწეული პურიც კალოზედ ჯგვილდებოდა. ამ როგად წელს ჯავახეთში ბევრი პური გაფუჭდა. მეორე ამისი მიზეზი გახლავთ საზოგადოდ ის, რომ აქვთ ზაფხული გვიანი იცის; გაზაფხულზედ დათესილი დეკა და ქერი ენკენისთვის დამწიფებას ძლივს ასწრობს, ასე რომ აქ კალოობის თვე ენკენისთვისა. ამიტომ-კი აქაური მაჰმადიანები ენკენისთვის ხარმანის, ე. ი. კალოს თვეს უწოდებენ. მესამე და უმთავრესი მიზეზი კალოს ასე დაგვიანებისა კიდევ ის ძველი ჯავახური ჩვეულება გახლავთ: შემოვა თუ არა ქერი, დაიწყებენ მისს თიბვასა და პურს, რაც უნდა შემოსული იყოს, ქერზედ აღრე არ მოსთიბენ. მეოთხე მიზეზი კიდევ მოთხოვლის მიტანის მეტად გაჭიანურება, რამდენსამე აღგილას ბუღულეობა და ძირებით დადგმა და სხ. რაც შრომას უთუოდ აორკვეს.

მაგრამ, ვინც მოასწრო ავდარსა და გაღწეა, გაქვთ სიცოცხლე, კარგი მოსავალიცა ჰქონდა. მარ თალია, ჯერ ყველას არ გაუღწეა, მაგრამ რაც გაღწეეს, ნათლად გვიჩვენებს, რომ წელს ჯავახეთში კარგი მოსავალია; შარშანდელი მოუსავლობით გაჭირვებული გლეხი ეხლა უთუოდ წელში გასწორდება. ბევრმა ძლიერ კოტა დათესა, ეგონა

ში იწოდენ, ერთნაირი გასაქირო მიადგათ, — სამეგრელოში თითქო საერთო გოდება ჩამოვიარდა.

ამით ისარგებლეს ზემოხსენებულის დასის კაცებმა: მწუხარების ღრუბელმა მალე გადაიარა და საიმედო ცაზე სიყალბის მზემ გამოაშუქა: ეს გახლდათ ახალი გამოკვერილი დადიანის ბეჭედი, ძველი უკანასტარის ნახევი ქალაღდები და ჟანგაროთი გაქდენთილი აჯეჯი. ამ იარაღით გამოვიდა სიყალბის სარბიელზე მთელი შტაბი, რომლის სულის ჩამდგმენი, შენც გეცოდინება, მკითხველო, მარტო ისინი არ იქნებოდნენ, რომელთაგანაც ზოგი სატუსალოში დაიხოცა და ზოგი დღე-ღღეზე შესაფერს სასჯელს მოელის. ამ შტაბს უბრალო ხელი ვერ მისცემდა ისეთს ორგანიზაციას.

ასე მოხერხებულად გამოწყობილმა კამპანიამ დიდი თანაგრძობა მოიპოვა აზნაურობის მომლოდეს საზოგადოებაში. ახალმა საბუთებმა ყველგან ბაზარი მოიპოვა: ძალიან თავაღებული აზნაური, მეცნიერებით შეიარაღებული ინტელიგენტი, ვაჭრობით წელში გამართული მოქალაქე და მოაზნაურე გლეხობა ერთნაირად მონდომილი მუშტარი შეიქმნა ამ საციმბირო საქანლისა. ამას დაუმატათ ის გარემოებაც, რომ, თითქო ზემოხსენებული ყალბი საბუთების გზის გასაკაფავად, ოფიციალურ დაწესებულებათაგან,

შარშანდელი მტერი (გოტენტური ბალონჯო) კიდევ მეწვევაო, მაგრამ მადლი გამიწენსა, ხელი აიღო. მაინც და მაინც, თუ დასთესეს, ისევ ქერ და დოლი დათესეს; დიკა ერთობ კოტა იყო ნათესი. ეს ლა, როდესაც ქერი სომარი (18 ფუთია) 6—7 მან. ისციდება; დოლის სომარი (18 1/2 ფ.) — 11—13 მან. ფასობს, დიკა-კი სომარი (19 1/2 ფ.) ისევ 19—20 მან. იციდება. შარშან ქერი იციდებოდა 10—12 მან., დოლი — 16—17 მ., დიკა 20—22 მან. მაშასადამე, დიკის ფასს არ დაუწყეო.

ენახით ახლა ხილისა და ბოსტნეულობის მოსავალი როგორიდა იყო ქვემო ჯავახეთში. რაც შეეხება ვენახებს, ხიზაბაგრაში წელს მარცვალი რა არის, მარცვალი არ ება; აქაური კაცი საზოგადოდ ძრიელ უგულოდ ექცევა ვაზს (ეტყობა ამ ოთხის წლის სოუსავლობამ გული გაუტეხა; ბევრი ამობენ, ვენახები უნდა გავაფოთო, ყანებთ ვაქციოთ); არც თავის დროზედ გასხლვა, არც მორწყვა, არც ერთი, არც მეორე. ჰოგოს ხომ თითქმის სულ არ უდგამენ ვაზს; ასე რომ მთელი საფხული ვაზი მიწაზედ გდია. კაცს გული შესტკივა სწორედ: მთლად ვაზები მიწაზედ ყრია, მიწა მოურწყავია, წელამდის ბალახი, ასე რომ მზის სხივი და წვიმა ვერც-კი გაიგნობს ვაზს, რომ მიწაზედ დაგდებულს მტევანს დაჰხედოს და შეაწიფოს. აბა რა ღვინო უნდა დასდგეს ამისთანა ყურძნისაგან. სავალალო-კი ის არის, რომ აქაურს კაცს წელს აღარც ამისთანა ღვინო აქვს.

ვისაც 200—100 ბათმანი (2 თუნგია) მოსდიოდა, წელს 10—15 ბათმანი ძლივს გამოუვიდა. ხილი

(მთავარ-სამმართველო, საგუბერნიო სამმართველო, სინოდის კანტორა) სრულიად დაუბრკოლებლად შოულობდენ ისეთს დოკუმენტებს, რომ დებუტატთა საკრებულო ექვის შეტანასაც ვერ გაბედავდა. და აჰა, ერთ ნაირის საბუთით მოადგა დედებუტატთა საკრებულოს ტახტის თავადი, ჩისარსალა აზნაური, განათლებული ინტელიგენტი და აზნაურის ნაყმევი გლეხი. მაქატირას გააზნაურება მხეაძეს არ მოსწონს, წირღვავს ბატონიშვილი გვერდში როგორ ამოუდგება, მაგრამ ხმის აწოდებას როგორ გაბედავს: შენც სუ და მეც სუო, — პირობა აქვსთ დადებული. ორივეს ერთი სიმაგრე უქირავსთ ხელში და თუ ძაფმა საღმე იჩინა თავი, შტაბის ნაქსოვი ერთბაშად დაირღვევა და თითო მწარე ნაწყვეტი ყველას მოხვდება.

ასეთი პირის სიმკციით და საიდუმლოებით შეიარაღებული მიადგა ორმოცდა ათი წლის ლოდინისა და ტანჯვის შემდეგ ერთი სამთავროს ნამდვილი თავადაზნაურობა და მოაზნაურე გლეხობა დებუტატთა საკრებულოს, სადაც, ზოგიერთის აზრით, სიმონ წყრეთელს, ვითომც, უთუოდ წინასწარმეტყველის გულთმისნობა უნდა გამოეჩინა და ნაპოლეონის გაბედულება და ასეთის ოსტატი ხელის ნაკეთები სიყალბის საძრომები დაეკეტა და ამდენს საზოგადოებას გულით შეხეტქებო-

წელს აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ მოსავლის წელი იყო, ერთობ კოტა (ამაზედ წინადაც გვექონდა ლაზარაკი გავით „ივერიაში“); რაც არის, იმასაც ცალი გვერდი სულ ნასეტყვი აქვს. ამიტომ წელს აქვთ სხვაგნინდგან მუშტარი არ მოსულა. ფასმაც დაიწია, რადგანაც ნასეტყვი ხილი დიდხანს ვერა სძლებს. ყველაზედ კარგი ვაშლი შალმა შიგ ახალციხეში და ახალქალაქში ფუთი 80—90 კაპ. იციდება; ყარანფილი, მამულო და სხვ. ფუთი 70—75—80 კაბეკია; მსხალი ნაზნაური 1 მან.; თავრეული 50—70 კაპ. იციდება; კვლავ-კი, როდესაც ბლომდაც იყო და გარეშე მუშტრებიც მოდიოდნენ, შალმა 1 მ. 50 კ.—1 მ. 30 კ. ისციდებოდა და აგრეთვე სხვა ხილიც მომეტებულს ფასში გადიოდა.

ბოსტნეულობიდან საზამთრო, ნესვი, კიტრი, ხახვი და ბადრიჯანი ერთობ კაი მოსავლიანი იყო; მხოლოდ კომბოსტოს და კართოფილს-კი კაი დღე ვერ დაუღდათ. აქაური საქმეური კართოფილი წელს ძრიელ კოტაა. ბევრს, ასე გასინჯეთ, სათესლევც არ ამოუვიდა და რაც ამოვიდა, ისიც მეტად წვრილია, ბაზარში გასატანად არ ივარგებს. ერთმა გლეხმა გაზაფხულზედ (ჩემი თვლით ვნახე) 10 გოდორი (37 ფ.) კართოფილი დათესა და ახლა-კი 8 გოდორი 30 ფ. ამოუვიდა.

თამბაქოს მოსავალი კარგი იყო, ბლომიც და მასთან კარგი გემოსიც, უკვე მოკრიფეს და ახმობენ.

ამ ჟამად, 23 ენკენისთვიდგან აქვთ კარგი დარია; ღამე რთვილს ავდებს, დილაობით მწარე სუსხი აქვს; თუ არ ზამთრის ტანისამოსით, კარში ვერ გამოვიდვი: რთ. დილა-

და, მაგრამ ეს ითქმის მხოლოდ, აღსრულება კი მეტად ძნელია: გუბერნატორებიც კი ვრიდებოდნენ სამეგრელოს თავადაზნაურთა გარჩევის საქმეში აქტიურის მონაწილეობის მიღებას.

წინამძღოლისაგან, რაც შეიძლება, ყოველი დონე მიღებული იყო. საკრებულოში საექსპერტო კომისია იყო დაწესებული დოკუმენტების გასარჩევად და გეოლოგის საკითხს საკითხზე უგზავნიდნენ, რა ვუყოთ ამა და ამ გლეხის გვარს, რომელმაც ამა და ამ ნაირი საბუთები წარმოადგინაო. მაგრამ ექსპერტიზამ სიყალბის აღმოჩენი იარაღი ვერ იშოვნა და გეოლოგია ინსტრუქციასზე უთითებდა: ვინც საბუთი მოიტანოს, ის იცანით აზნაურადო.

ვისაც ახსოვს სიმონ წყრეთლის უკანასკნელს კრებებზე ნათქვამი, რაიცა „ივერიაშიც“ იყო დაბეჭდილი, ან ვისაც სიმონის ნოქტომბრის მოხსენება წაუკითხავს, იმისთვის სხვა განმარტება უადგოლო იქმნება. მხოლოდ ჩვენმა საზოგადოებამ გულდაჯერებით უნდა იცოდეს, რომ ზემოხსენებული უბედური გარემოება, ვინც უნდა ყოფილიყო, ყველას კისერს მოსტეხდა და უარესსაც უშამდა, თუ ზედ დავუმატებთ იმასაც, თუ რამდენად სწორეთლისა და მისის წრის პირადი მტრები ხელს უწყობდენ ყველას, რაც კი მის თავზე მების ტეხას და-

ბით ისეთი ბურუსი დეკორაციული წინ ვერაფერსა ხედავთ. აქ თოვლიც მოვიდა, შუადღემდის ისევ აიღო, მხოლოდ მთებზედ მეორე დღემდის იღვა.

ქართლელი ჯავახეთში

ზნებარეი საქველ-მოქმედო სიონ-ნობისა,

რომელიც 26 აგვისტოს 1901 წელს კავკაის ქალაქის ბალში იქნა გამართული კავკაის ქართული სკოლის სასარგებლოდ.	
შემოსავალი: ბილეთების გასყიდვისაგან შემოვიდა.	539 მან. 5 კ.
ბუფეტისაგან	336 მან. 98 კ.
ბაზრიდან	329 მან. 95 კ.
შემოწირულობა ხელ მოსწერი ფურცლებით	867 მან. 40 კ.
სულ	2073 მან. 38 კ.

გასავალი იყო ბალის მოწყობა ვანათებაზედ და გასართობებზედ, აგრეთვე მარკებისა და სხ ხარჯი სულ 401 მან 93 კ., წმინდა შემოსავალი დარჩა სულ 1671 მან 45 კ. ხელ-მოსწერი ფურცლებით შეკრიბეს, გამოგვიგზავნეს და აგრეთვე პირადად შემოსწირეს: ო. ლ. შავგულიძემ 15 მან., პ. ი. ბოძიძემ 90 მან., ს. ხ. ელიაძემ 50 მან., გრ. ი. ჩითაძემ 47 მან. 5 კ., გრ. მ. ბურდულმა 47 მან., ე. ხ. ყიბუჯმა 46 მან. 50 კ., პ. დ. ტეიშვილმა 37 მან. 50 კ., ი. დ. მისურაძემ 33 მ. 50 კ., ნ. ა. ქუშიციანი 32 მან. 80, ი. ქოქაშვილმა 32 მან. 50 კ., მ. ტ. ალაშვილმა 31 მან. 75 კ., ი. მ. მესხმა 30 მან., ფ. გ. ახობაძემ 29 მან., კ. ი. ანდრეევმა 20 მან., ს. ხ. ქეჭეჭიძემ 19 მან., 35 კ., ა. პ. ბონდარენკოსამ 15 მან., ი. ზ. სხირტლაძემ 15 მან., ა. კ. გორსკიმ 15 მან., გ. ც. დუღუშაურმა 14 მ. 45 კ., ე. დ. ჩაჩიბაიასამ 13 მ. 80 კ., ბ. ს. შახზოვისამ 13 მ. 75 კ., ნ. ი. ტრინმა 10 მ., ბ. გ. ნაუმვიცისამ 7 მ., გ. მ. ზედოვმა 7 მ., დ. ლ. ჩუბინიძემ 5 მ. 45., პ. ი. პაპოვმა 5 მ., ლ. ხ. კოკოლოვისამ 5 მ. 10 კ., დ. ლ. შლენგოვსკიმ 5 მ., ე. ხ. კუნცევიცისამ 5 მ., გ. ბაევა 5 მ., ს. ა. ანდრეევმა 5 მ., კ. ი. მაკავარიანმა 5 მ., ხ. ბარისოვმა 4 მ. 50 კ., ნ. დ. ყიბუჯმა 3 მ. 50 კ.,

აჩქარებდა: დანოსები და საჩივრები, ერთი მეორეზე საზიზღარი, რომელიც გარეთ ჩვენს მხრუნველებს ზედი-ზედ მისდიოდათ; შინაური აყილობა; გამახსნიძღებულნი სტუმრების სიმონის წინააღმდეგ ამხედრება იმიტომ, რომ, გულ-გაუტეხელმა კაცმა რიგიანს წრეს არ უღალატა და ყველაფერში მასთან ერთად მოქმედებდა, — განა სახუმრო იარაღია საქმის მოთავის გასათახსირებლად!

სწორეთ ასეთმა იარაღმა და მიზეზებმა ბევრი რიგიანი და სასარგებლო კაცი გადაჩეხა კლდეზე და გამოათხოვა ჩვენს საზოგადოებას და, ჩვენდა სავალალოდ, კიდევ ბევრს შეუკრავს ხელფეხს სამოღვაწეო ასპარეზზე, ხოლო ჩვენს საქმეებს უფსკრულში გადაუშვებს. ამიტომ საჭიროა, რომ ძირეულად შეიცვალოს ჩვენი საზოგადოების არა მარტო მეთაურთა, არამედ ყველა წევრთა ახლანდელი ურთიერთობა: საერო საქმეების აღორძინების სურვილით უნდა გავიმსჭვალეთ ყველანი, უნდა გავიჩინოთ ისეთი საქმე, ან აწყულო საქმეებს ისე გულიანად უნდა მოვეკიდოთ, რომ პირადობა დაგვაიწყედეს, რათა ერთმანეთის საჩივიანოდ დრო აღარ დაგვრჩეს. ერთობილი, თანხმობითი და გონიერი მუშაობის მეტი სახსარი ჩვენ არ მოგვეძებება.

Amicus

ე. ბ. მეტონიძე მ. მ., ს. ფურცელაძისამ 2 მ. 50 კ., ა. მ. ბურდულაძისამ 2 მან., ბ. ფ. პაპოვისამ 1 მ., ს. ი. პისარევიამ 1 მ. და სხვ. ბაზრისა და ბუფეტისათვის საჭირო მასალა და ნივთები შეაგროვეს ხელმძღვანელი ფურცელაძისამ. გ. ნაუმოვისამ, დ. ლ. ჩუბინიძისამ, ი. დ. მასურაძისამ, ნ. ა. ქუთუნიძისამ, ნ. დ. ყაზბეგისამ, ა. ს. გუბნელოვისამ, ი. კოკაშვილისამ, ზ. გ. ბორისოვისამ; გრ. ბურდულაძისამ, კ. ი. ანდრეევიამ, ნ. ი. ტრინიამ, ს. ფურცელაძისამ, ნ. ი. ფაჩკაძისამ, გ. ბურდულაძისამ, პ. ომიანისამ და სხვ.

სეირნობის გამართვაში მუშაობდა მონაწილეობა მიიღეს ქ-ნმა მ. ფ. ფარულაძისამ, ს. დ. კლანდარიშვილისამ, ვ. ფ. პაპოვისამ, ე. ი. ხიმშიაშვილისამ, მ. ვ. კობახიძისამ, ე. დ. ჩაჩიბაძისამ, შ. გ. თაყაიშვილისამ, ვ. ი. ბოძიევისამ, ნ. ი. კოკოლოვისამ, ე. ზ. სტოგატისამ, ა. ი. კოლიევიისამ, ე. დ. მოზდოველოვისამ და ბ-ნებმა: ი. ი. კონტუხიძისამ, ნ. დ. ყაზბეგისამ, ი. დ. მაისურაძისამ, გრ. მ. ბურდულაძისამ, ზ. ლ. კიკნაძისამ, ზ. გ. ბორისოვისამ, გ. ბურდულაძისამ, გ. ჩი-თაყაიშვილისამ, იაკ. ფიცხელაურისამ, მ. ო. კვიციანიძისამ, ვ. ა. ქუთუნიძისამ, ი. ს. მესხიძისამ, ი. ხიმშიაშვილისამ, ვ. ნ. ზირაძისამ, თ. ვ. გ. ამილახვარისამ, რომელმაც ქართლ-კახეთის ხორბო გამოგზავნა, პ. ომიანისამ და თ. გიორგობიანისამ, რომელთაც რაჭველების ხორბო მოიყვანეს და სხვ. ყველა ზემოხსენებულთა რომელთაც სეირნობის გამართვას ხელი დიდად შეუწყვეს შემოწირულობით თუ პირდაპირ შრომით აგრეთვე იმათ, ვინც ხელ-მძღვანელი ფურცელაძისამ არიან მოხსენებულნი, როგორც შემოწირველნი ფულად, ნივთებითა და სანაფიცით და რომელთა გვარებისა და შემოწირულობის რაოდენობასაც ვერა ვებქვადეთ უადგილობის გამო, სკოლის გამგეობა უბუღიანად მადლობას უხდებდა.

კავკასიის ქართული სკოლის გამგე და სამშრომლო კომიტეტის თავმჯდომარე პარტენ ალ. ვაშაძე.

1901 წ. 26 სექტემბერი.

უცხოეთი

რუმინია. ბუქარესტის გაზეთს „Православный Восток“-ს პეტერბურგიდან სწერენ, საფრანგეთის კავშირმა გადასწყვიტა თავი დაანებოს წინანდელს თავშეკავებულს პოლიტიკას და დღეის იქით თვალსაზრისით მონაწილეობა მიიღოს ყოველი პოლიტიკურის და ეკონომიურის კითხვის გადაწყვეტაში. საფრანგეთი და რუსეთი ყურადღებას მიაქცევენ გერმანიის საბაჟო პოლიტიკას, ქრისტიანეთა მდგომარეობას ბალკანეთში და მცირე აზიაში და სახრეთ-აფრიკის ომს. რუსეთის ელჩს ბალკანეთში ახალი ინსტრუქციები გაეგზავნება.

სომხეთი. რუსეთის ელჩი ერზერუმში იტყობინება, ამ რამდენიმე წლის წინად ქურთებმა სომხები ამოხოცეს და მოსალოდნელია, რომ ოსმალეთიდან დიდძალი სომხობა გამოიხიზნება რუსეთში. ამის გამო რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლში ებრძანა, ბეჯითად მოსთხოვოს ხონთქარს ალექსანდრის რეფორმების შემოღება და სომხეთში პიროვნული და ქონებრივი ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის ზომების დაწესება. პორტა, მართალია, უარყოფს ერზერუმელ ელჩის ცნობების სიმართლეს, მაგრამ თანახმაა რეფორმების შემოღებისა.

გერმანია. კრიუგერს გერმანიის იმპერატორის პროტესტი განუცხადებია, რომ ინგლისის კაცებს ჰკრე-

ფენ ლიუქსემბურგსა და ელზას-ლორენში.

— საკავშირო საბჭოს საგანგებო კომისიის უკვე სამი სხდომა ჰქონდა საბაჟო კანონ-პროექტის განსახილველად. როგორც კომისიის მუშაობიდან სჩანს, პროექტში მხოლოდ რამდენიმე მეორე ხარისხის მნიშვნელობიანი მუხლი შეიცვლება. გაზ. „Ber. Tageb.“-ი ამბობს, არც საკავშირო საბჭოს საზოგადო კრება შესცვლის შესამჩნევად პროექტს.

ინგლისი. ბირმანგიამის სააკციონერო თაფხანის აკციონერთა საზოგადოებამ დაადგინა დივიდენდი ოც-ოცი პროცენტი იქმნას მიცემული ამ წელსო. კრების თავმჯდომარემ ჰერბერტ ჩემბერლენმა განაცხადა, არასოდეს ჩვენს თაფხანს ამოღენა მოგება არ უქანებს. თაფხანის მხედებამ, მთავრობის შეკვეთით, 31 ივლისიდან იწყო ზრდა და ჯერ კიდევ იზრდება.

ალღემში მიტინგზე წარმოთქმულს სიტყვაში გიქს ბიჩი, სახელმწიფო ხაზინის მინისტრი, შეეხო, სხვათა შორის, იმას, თუ რა ზომები უნდა მიიღოს მთავრობამ ირლანდიის ნაციონალისტების ობსტრუქციასთან საბრძოლველად. გიქს ბიჩის აზრით, ირლანდიის წარსიმაღდენელთა რიცხვის შემცირება საქმეს ვერ გაასწორებს; ერთად ერთი საშუალება ობსტრუქციის მოსასპობლად პარლამენტის მოქმედებისთვის ახალის კანონების შემოღებაა. მინისტრს იმედი აქვს, რომ ამ ახალის კანონის გასამტკიცებლად, იმას მხარს მისცემენ უნიონისტები და ლიბერალური იმპერიალისტები. „ახლო წარსულის მრავალი ფაქტი გვიძიულებს ვიფიქროთო, სთქვა მინისტრმა, რომ ლიბერალური იმპერიალისტები თანახმა არიან სამინისტროს პარტიასთან ერთად დაიცვან დიდი ბრიტანია სხვა-და-სხვა წვრილმანი ხალხისაგან და იმათ სეპარატიულს მისწრაფებებს გაუწიონო წინააღმდეგობა.“

— საფრანგეთის გაზეთები სწერენ, პრინცმა ვიქტორ-ნაპოლეონმა უარ-ჰყო თავისი უფლება საფრანგეთის ტახტზე ასვლისა თავის ძმის, პრინცის ლუის, სასარგებლოდ, რომელიც ეხლა რუსეთის ჯარში მსახურებს. ბონაპარტისტების პარტიის მეთაურები აცხადებენ, ეს ხმა ტყუილია.

წერილი რედაქციის მიმართ.

სამშობლოსათვის მუდამ გულ-შემატკივარი, ახლად გარდაცვლებული გიორგი ქართველიშვილი მუდამ მზად იყო გულუხვი დახმარებით ემსახურა ქვეყნისათვის, თუ ჰხედავდა, რომ ამითი მცირე ოდენს სარგებლობას მიანიჭებდა მოუტანდა თავის სამშობლო ქვეყანას. გარდაცვალა განსვენებული გიორგი, მაგრამ გარდაცვლებულთაც თითქმის საზღალოთი გახდა. „მოკვდა და თვისი სიკვდილით აწისევ საქმობს მკვდარი...“ მოგახსენებთ იმას, რომ „ცისკრის“ რედაქტორად ნამყოფის განსვენებულის ივანე კერესელიძის საფლავი სრულიად მივიწყებული იყო: აღარც ჯვარი, აღარც მოაჯირი, წარწერა და ქვა ხომ არ იყო, და არა... და აი, გიორგის დაკრძალვის დროს გაიხსენა ეს გარემოება ჩვენმა საზოგადოებამ და წირვის დროს მრავალ რიცხოვან ხალხში და ვიწყეთ ფულის მოგროვება, რომელთა სახელის, გვარისა და შეწირულობის რაოდენობის გამოცხადებასაც გთხოვთ უმოჩილესად.

სტუფანე დევდორეს ძე კრეაშვილმა, დავით კარიჭაშვილმა, არშაკ სერგის ძე ბაბოვამ, ივანე კანდელაკმა, გრიგოლ ფარულაძემ, გარსევან რატინამ, ალექსანდრე გუნდრაშვილმა, ზაქარია ყარალოვმა და არტემ ახნაზაროვმა—თითო მანეთი; კნ. ალექსანდრა მელიქიშვილისამ—ათი მ., კნ. დესპინე ლორთქიფანიძის ასულმა ფარსადანოვისამ—ათი მ., კნ. ბარბარე ბარათაშვილისამ—ორი მ., კნ. ბეგთაბეგოვისამ—მ. მ., თ. გრიგოლ დიასამიძისამ—მ. მ., ირაკლი გუნდრაშვილი—ხუთი მ., ბ-მა გუნდრაშვილი—ორი მ., ივანე ცაგარელმა—ერთი მ., ალექსანდრე არდაზანმა—ერთი მ., ილია ალურწიანმა—ერთი მ., სვიმონ გუდიაშვილმა—ერთი მ., ანა ჯუმუზაძისამ—ორი მ., ნინო აბულაძისამ—ერთი მ., თეკლე ივანაშვილსამ—ერთი მ., ბაბაღე ლორთქიფანიძისამ—ორი მ., კნ. მაღალკისამ—ორი მ., დიმიტრი ჯუმუზაძემ—ერთი მ., ირაკლი დეკანოზიშვილმა—ერთი მ., ვასილ ბერეაშვილმა—ორი მ., ილია მიხეილისძე ხარაშვილმა—ერთი მ., იაკობ რა ლაზარიაშვილმა—ერთი მ., ილია გიორგოლაშვილმა—ორი მ., სოფრომ მალოზიანისამ—ერთი მ., ვეტიხი მამინეოვიშვილმა—ერთი მ., ვარდენ ყიფიანმა—ერთი მ., არისტო ქუთათელაძემ—ერთი მ., გრიგოლ იშხნელმა—ერთი მ., ანდრია ლულაძემ—ერთი მ., ივანე ახალშენიშვილმა—ერთი მ., ილია ზურაბიშვილმა—ერთი მ., სოლომონ სარაჯიშვილმა—ერთი მ., გიორგი ხუციშვილმა—ერთი მ., ქრისტეფორე მაძაყაშვილმა—სამი მ., გიორგი ყურულმა—ერთი მ., მ-ერთი მ., მ-ერთი მ., თ. ვლადიმერ მიქელაძემ—ერთი მ., სოსიკო ბაქრაძემ, გიორგი დეკანოზიშვილმა, მ-მა, გულსაშვილმა, მახაბულმა, სულხან-ნიშვილმა, თ. ჭავჭავაძემ და (ვერ ამოვიკითხეთ) მ-მა თითო მანეთი (გრ ამოვიკითხეთ) მ-მა—ათი შაური, თურქესტანიშვილმა, დოქტ ვაბაშვილმა, ივანე მესხმა, კონსტანტინე ყაფრიშვილმა, ექვთიმე თაყაიშვილმა, თ. ამირიძელა წერეთელმა, თ. კოტე ზერხეულიძემ, მოსე ჯანაშვილმა და ალექსი დეკანოზიშვილმა—თითო მანეთი; მღ. დიმიტრი ჯანაშვილმა—ათი შაური, ვასილ სულხანიშვილმა, გიორგი ცერცვაძემ, ნიკო თავდგირიძემ, მღ. დავით გარსიაშვილმა, იოსებ ქუთათელაძემ, თ. ალექსანდრე ვახვაშვილმა,—თითო მანეთი; დ. დავით ჯორჯაძემ—ორი მან, თ. ვანო ვაჩნაძემ—ერთი მ., ვლადიმერ გელეგანიშვილმა—ერთი მ., ნიკოლოზ ზებუდეს ძე ცხვედაძემ—სამი შაური; გიორგი ქურდიანმა,—ერთი მ., ტენიკია მიქელაძემ—ათი შაური, სერგო წერეთელმა, ალექსანდრე ვასაძემ—თითო მანეთი; სოლომონ ვაბაშვილმა—ორი მ., გიორგი ანანიაშვილმა—ერთი მ., ექიმმა ალექსანდრე დიასამიძემ—ორი მ., ექიმმა სვიმონ ჯაფარიძემ—ორი მ., გიორგი სვიმონის ძე ივანაშვილმა, ალექსანდრე გოზალაშვილმა, გიორგი აბულაძემ, დიმიტრი ხოშტარიაშვილმა (დუტუ მგერელმა), დიმიტრი ვიტიშვილმა, კონსტანტინე მესხიშვილმა, ალიოზ შიხინაშვილმა, მიხეილ ფრიდლანდმა—თითო მანეთი; პეტრე მაღალაძემ—სამი აბაზი; გიორგი ბირუკოვმა, ვასილ ბუნტურიაშვილმა, ელ. ელისაბედ წერეთლისამ—თითო მანეთი.

სულ ცამეტი თუმანი, სამი მანეთი და ოც-და-ხუთი კაპეი (133 მ., 25 კ.) ვითხოვ ამასთანავე ყველა გულშემატკივართ და თანამგრძობელთ, თავიანთი წვლილი ამ საქმისათვის „ივერიისა“, „ცნობის ფურცლისა“ და „კვალის“ რედაქციას გამოუგზავნონ განსვენებულის ივანე კერესელიძის ძეგლის ამგვ კომიტეტის გადასაცემად, რომელიც ამ საქმის აღსრულებას დაუყოვნებლივ შეუდგება

სოსიკო მერკვილაძე

დებემა

(„რუსეთის დებემათა სააგენტოსაგან“).

5 ოქტომბერი

პეტერბურგი. „კანონდებათა კრებულში“ გამოქვეყნებულია, რომ მოსკოვის ნება აქვს დართული 14.000,000 მან. საობლიგაციო სესხი გამოსცეს და ვარშავისა და ვე-

ნის რკინის გზის საზოგადოებამ კიდევ საზღვარ გარედ გამოსცეს მთავრობის მიერ უზრუნველყოფილი 4% საობლიგაციო სესხი მე-10 სერიით 15.864,045 მან. 90 კაპ. და მე-11 სერიით 9.591,750 მანეთისა და 90 კაპ.

ცარიცინი. 4 ოქტომბერს მომხდარმა ერობის კრებამ მოუსავლობის მიზნად გვალვა სცნო და დაადგინა მინდვრების მოსარწყავად მოსამზაველებს მუშაობას ახლავე შეუდგეს.

ბათუმი. 4 ოქტომბერს, ღამით, მე-23 ვერსზედ, სახალხო მატარებელს № 4 ყაჩაღები დაესხნენ და მოჰკლეს არტემოშიკი, რომელსაც ფული მიჰქონდა და ორიც დარაჯი. ყაჩაღებმა მოიტაცეს 2,000 მან. მტერი ფული და გაიქცენ.

სარატოვი. 6 გრადუსი ყინვაა. ბირეის კომიტეტი სარატოვიში ამჟამად 5 მილიონ ფუტს ხორბალს ანგარიშობს. გემების მიმოსვლა სარატოვის ზევით შესწყდა.

შაზანი. ლაბინის გადასაქანში გემები დაუბრკოლებლევ გადიან.

ნიჟნი ნოვგოროდი. ხარმოვის ყორეს ამშენებელ და ვოლგაზედ მიწის მთხრელ ინჟინერების ბოროტ-მოქმედებათა გამო ორის დღის განმავლობაში ბრალდების მხრივ 60 მეტს მოწმეს ჩამოართვეს ჩვენება. აღმოჩნდა, რომ ფული ყოველად უკანტროლოდ თურმე იხარჯებოდა. ამის გამო ხშირად თურმე ყალბს ანგარიშებს ადგენდნენ და არ არსებულს მუშებს ფულს აძლევდნენ. ხვალ ბრალდებულთა მოწმებს ჩამოართმევენ ჩვენებას.

ვარშავა. ვარშავის უნივერსიტეტის საანატომიო იეატრის შენობა 5 ოქტომბერს აკურთხეს.

ჰენა. დებუტატთა პალატა. პრეზიდენტმა კერბერმა განაცხადა, რომ ამჟამად ეკონომიური განწყობილება ვენგრისათანა და პოლიტიკურ ეკონომიური დანარჩენ სახელმწიფოებთან საჭიროა უთუოდ როგორმე უკეთ მოეწყოს, ეროვნულს განხეთქილებას თავი დაეანებოთ. მთავრობას სავაჭრო ხელთშეკრულებათა მხარი უჭირავს, რომელთაც შეუძლიანთ ავსტრიის ინტერესები უზრუნველ-ჰყონო. ახალი ხელთშეკრულობებში, განსაკუთრებით გერმანიისთან, კერბერი უკიდურესობამდე მიღწეულს საქმეთა სამწუხარო ვითარებასა ჰხედავს, რომელმაც ამ ბოლოს წლებში ბევრი აგრძობინა სახელმწიფოსა. ახალის მოლაპარაკებისა და სავაჭრო ხელთშეკრულობის დროს მთავრობა მეტს ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ მრეწველობის ინტერესები დაიცვას. მინისტრ-პრეზიდენტმა დასასრულ გამოსთქვა იმედი, რომ მთავრობა უარჰყოფს ყველა იმ ხელთშეკრულობათ, რომლებიც მხოლოდ მსხვერპლს თხოულობენ და სარგებლობა-კი არაერთი არ მოაქვთ.

ლონდონი. შარკლიზის ბანაკში მდგომ ორ როტა იომანრებიდგან, რომლებიც აფრიკაში უნდა წასულიყვნენ, 50 კაცი სადღაც გაჰქრა. იომანრები ჯამაგირების დაგვიანების გამო დიდად უკმაყოფილონი არიან.

სამხატვროლო *ქვეყნის* ქალაქი ზღვოა შტაბის უფროსი *ქვეყნის* აველანი მოვიდა. გზათა მინისტრი ჩრდილოეთისაკენ წავიდა.

6 ოქტომბერი.

პეტერბურგი. მთავრობამ გამოაქვეყნა: „რადგანაც უცხოეთის ზოგიერთმა გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ვითომ ხელმწიფე იმპერატორის საფრანგეთში წასვლას აზრად სესხის აღება ჰქონოდა, ფინანსთა მინისტრი აცხადებენ, რომ არც მისის უდიდებულესობის მოგზაურობის დროსა და არც შემდეგ სესხის აღების შესახებიტყვა არავის დაუძრავს.“

წყლითა და ხმელეთით მიმოსვლის სამმართველო აცხადებს, რომ მიღებულია ყოველივე ღონის-ქიება, რათა ლაბინის გარდასაქანში გემებს რეგრეგითა და დაუბრკოლებლივ შეეძლოთ გავლა; იმედია, გარდასაქანში შეგროვილი გემები მდინარის გაყინვამდე მოასწრებენ დანიშნულს ადგილს მისვლასაო.

შავის ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისია აცხადებს, რომ ქალაქი ნაეპოლი 3 ოქტომბრიდგან ამ სენის მხრივ შიში აღარ არას.

ხელმწიფე მემკვიდრე 4 ოქტომბერს სალაში მოვიდა; მისს უმაღლესობას ოლენის სადგურზედ მათნი იმპერატორებთნი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, პრუსიის პრინცი ჰენრიხი და პრინცესა ირენა მიეგებნენ.

მანელა. ბონგახანის მახლობლად, გონდარას მდინარეზედ, სამარას პროვინციაში 46 ამერიკელი-საგან შემდგარს ქვეითა ჯარის როტას 500 ბოლეროსი თავს დაესხა. ამერიკელებს მოუკლეს 10 კაცი, დაუჭრეს ექვსი; დანარჩენი ნაწილი რაზმისა დროზედ მიეშველა; და მეტი ზარალი აღარ მისცემიათ. ბოლეროსები უკუ აქციეს; ბრძოლის ადგილას 100 მეტი მოკლული დასტოვეს. ფიქრობენ, ბოლეროსები ჯარის მიშველებას უცდიანო. კატალონგანდგან დაუყოვნებლივ ორი კანონიერკა და გენერალი სმიტი იქმნენ ვაგზავნილინი.

პრაგაში. რომანების მწერალმა მიხეილ ბალუცკიმ თავი მოიკლა.

სომხეთ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მთოსვლა 6 მაისიდან 1901 წლისა (დრჩნ-ლეზში ჩამხული ციფრები ტფილისის სათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარე პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისიდან გან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)
 ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ.), ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).
 სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)
 ტფილისიდან ბოკჯოში:
 სამგზავრო მატარებელი № 7 დილის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)